

სს “ერისიმედი”

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები.....	7
3. ძირითადი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, დაშვებები და შეფასებები	16
5. ძირითადი საშუალებები	19
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	19
7. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	20
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
9. მიღებული სესხები.....	20
10. კრედიტორული დავალიანება.....	20
11. მიღებული ავანსები.....	21
12. შემოსავალი.....	21
13. თვითღირებულების ხარჯი	21
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	21
15. ფინანსური ხარჯი	22
16. უცხოური ვალუტის რისკი	22
17. საპროცენტო განაკვეთის რისკი	23
18. საკრედიტო რისკი	23
19. ლიკვიდურობის რისკი	24
20. კაპიტალის რისკის მართვა.....	25
21. დაკავშირებული მხარეები	25
22. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	11
23. ფუნქციონირებადი საწარმო.....	11
24. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები	11

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,043	976	984
არამატერიალური აქტივები		2	2	2
		1,045	978	986
მოკლევადიანი აქტივები				
ინვესტიციები		7	7	7
გაცემული სესხები		3	3	38
საგადასახადო აქტივი		39	-	-
ავანსები		264	243	529
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	1,109	616	234
დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	7	958	951	1,415
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	79	159	13
სულ მიმდინარე აქტივები		2,459	1,979	2,236
სულ აქტივები		3,504	2,957	3,222
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		92	92	92
გაუნაწილებელი მოგება		1,823	1,655	1,482
სულ კაპიტალი		1,915	1,747	1,574
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	253	265	313
კრედიტორული დავალიანება	10	690	712	639
მიღებული ავანსები	11	646	92	583
საგადასახადო ვალდებულებები		-	141	113
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,589	1,210	1,648
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,504	2,957	3,222

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 2-5 გვერდებზე, სს “ერისიმედი”-ის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2019 წლის 30 სექტემბერს. კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ნონა შვანგირაძე

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,043	976	984
არამატერიალური აქტივები		2	2	2
		1,045	978	986
მოკლევადიანი აქტივები				
ინვესტიციები		7	7	7
გაცემული სესხები		3	3	38
საგადასახადო აქტივი		39	-	-
ავანსები		264	243	529
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	1,109	616	234
დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	7	958	951	1,415
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	79	159	13
სულ მიმდინარე აქტივები		2,459	1,979	2,236
სულ აქტივები		3,504	2,957	3,222
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		92	92	92
გაუნაწილებელი მოგება		1,823	1,655	1,482
სულ კაპიტალი		1,915	1,747	1,574
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	253	265	313
კრედიტორული დავალიანება	10	690	712	639
მიღებული ავანსები	11	646	92	583
საგადასახადო ვალდებულებები		-	141	113
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,589	1,210	1,648
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,504	2,957	3,222

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 7-27 გვერდებზე, სს "ერისიმედი"-ის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2019 წლის 30 სექტემბერს. კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ნონა შვანგირაძე

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი



შენიშვნები 11-27 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>
შემოსავალი	12	6,575	4,587
თვითღირებულების ხარჯი	13	(5,699)	(3,549)
საერთო მოგება		876	1,038
საკომისიო ხარჯები		(18)	(16)
ხელფასები და დაქირავებული მუშახელის სხვა სარგებელი		(505)	(385)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(94)	(297)
სხვა შესამოსავალი		15	9
საოპერაციო მოგება		274	349
კურსთა შორის სხვაობა		1	3
ფინანსური ხარჯი	15	(107)	(179)
მოგება დაბეგრამდე		168	173
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		168	173

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვარი	92	1,482	1,574
სულ წლის სრული შემოსავალი	-	173	173
2017 წლის 31 დეკემბერი	92	1,655	1,747
სულ წლის სრული შემოსავალი	-	168	168
2018 წლის 31 დეკემბერი	92	1,823	1,915

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	168	173
არაფულადი კორექტირებები მოგების დაბეგვრამდე რეკონსილაციისთვის		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	99	76
საკუროს სხვაობა	1	3
ფინანსური ხარჯები	107	179
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>		
მარაგების ცვლილება	(493)	(382)
ცვლილება საგადასახადო ვალეზულელებში, მოგების გადსახადის გარდა	(141)	28
ცვლილება საგადასახადო აქტივებში, მოგების გადსახადის გარდა	(39)	-
დებიტორული და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(7)	464
ავანსების ცვლილება	(21)	286
კრედიტორული და სხვა დავალიანებების ცვლილება	532	(418)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	206	409
ფინანსური ხარჯები	(107)	(179)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	26
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	99	256
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(166)	(59)
გაცემული სესხები	-	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(166)	(59)
ფინანსური საქმიანობა		
მიღებული სესხები	(12)	(48)
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფული ფინანსური სამიანობიდან	(12)	(48)
წმინდა ფულის შემცირება	(79)	149
საკუროს სხვაობა ფულის ექვივალენტებზე	(1)	(3)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	159	13
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბერს	79	159

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***1. შესავალი****ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

სააქციო საზოგადოება „ერისიმედი“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა და რეგისტრირებულ იქნა საგადასახადო ორგანოს მიერ 1996 წლის 7 დეკემბერს.

კომპანია დაკავებულია სამშენებლო საქმიანობით.

კომპანიის ფაქტიური და რეგისტრირებული მისამართი არის საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქუჩა N2ა.

კომპანიის აქციონერებს წარმოადგენენ ალექსანდრე კოკაია (64%), გურამ კოკაია (26%), და სხვები (10%). კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან საქართველოს მოქალაქეები.

კომპანიის მმართველ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება მოადგილისა და სხვა წევრებისგან.

კომპანიის ყოველდღიური ოპერაციები წარიმართება კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ ოფისს.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად შეფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები კონვერტირებულია ფინანსური ანგარიშგების ბოლო თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ვალდებულების დაფარვის დროს არსებული კურსთა შორის სხვაობა აღიარდება პერიოდის მოგება/ზარალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ბალანსების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი წარმოადგენს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940
აღნიშნული პერიოდისთვის არსებული საშუალო გაცვლითი კურსი:			
	2018	2017	
1 USD/GEL	2.5345	2.5086	
1 EUR/GEL	2.9913	2.8322	

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთგვაროვნად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით (IFRS) მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველი არის ისტორიული ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა თუ სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში აღირიცხება, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, იმის მიუხედავად, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში, შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რაც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოუშვებთ. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების საფუძველზე. მის ღირებულებაში შედის შესყიდვის ფასი რომელიც მოიცავს იმპორტის გადასახადს, არადაბრუნებადი ხარჯების გადასახადს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალების შემადგენელ მთავარ კომპონენტებს აქვს განსხვავებული სარგებლობის ვადა, ხდება მისი განცალკევებულად აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებები მშენებლობის პროცესში, წარმოების, გაქირავების და ადმისტრაციული მიზნებისთვის, ან სხვა მიზნებისთვის რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, მისი ღირებულება განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგის გამოკლებით. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე ძირითადი საშუალებების ღირებულება მოიცავს აქტივის პირდაპირ ხარჯებს, ადგილის მომზადების, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს და ასევე დასაკაპიტალიზებადი სესხების ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯები, რომლებიც აღირიცხება განცალკევებით, კაპიტალიზდება ჩამოსაწერი კომპონენტის მიმდინარე ღირებულებით. სხვა შემდგომი პერიოდის ხარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს მომავალში მისაღებ სარგებელს.

საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს არ ერიცხება ცვეთა. ყველა სხვა აქტივის ცვეთის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად, მთლიან ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება და გაყოფილი სასრებლო გამოყენების მთლიან პერიოდზე, განაწილებული ცვეთის წრფივი მეთოდით.

<i>აქტივების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო გამოყენების პერიოდი</i>
შენობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების აღიარების შესწვეტა ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივი ჩამოიწერება, ან არ არის მოსალოდნელი მისი ჩამოწერით ან გამოყენებით მომავალი სარგებლის მიღება. აქტივის აღიარების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალი ან დანაკარგი (გაიანგარიშება აქტივების წმინდა მიმდინარე ღირებუ- ლებასა და ჩამოწერის წმინდა შედეგს შორის სხვაობით) შეიტანება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. ხარჯები აღიარდება მათი გაწევის მომენტში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს (ის მოიცავს ნებისმიერი სახის საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელია ნაწილია, ტრანზაქციულ დანახარჯებს და სხვა ფასდაკლებებს), რომლებიც გაწერილია ფინანსური აქტივის სრულ სასიცოცხლო ციკლზე, ან ხანმოკლე პერიოდზე. მას შემდეგ, რაც გაუფასურების შედეგად ჩამოიწერება (ან ნაწილობრივ ჩამოიწერება) ფინანსური აქტივი ან აქტივთა ჯგუფი, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება საპროცენტო განაკვეთით, რომელითაც თავდაპირველად დაადისკონტირეს აქტივიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი სამართლიანი ღირებულებით და შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (მინუს გაუფასურების რეზერვი). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

დგინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს მათი სრული ღირებულების დაბრუნებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების მიხედვით. რეზერვების მოცულობა განისაზღვრება სხვაობით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება სხვადასხვა ტიპის კორექტირებით და დანაკარგებით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სავაჭრო მოთხოვნები, რომელთა ამოღება შეუძლებელია, ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გავლით. უკვე ჩამოწერილი თანხების დაბრუნების შემთხვევაში ისინი კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება არის ვალდებულება, რომელიც ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნება უკვე მიწოდებული საქონლით ან/და გაწეული მომსახურებით, რომლის საფასურიც ჯერ არ არის გადახდილი. ეს დავალიანებები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად, თუ მათი დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, როცა დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს, ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. არსებული მდგომარეობით, მოსალოდნელია რომ კომპანია თავის სავაჭრო ვალდებულებებს დაფარავს ერთი წლის განმავლობაში და ისინი კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებზე ბანკში განთავსებულ ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რომელზეც ვრცელდება ღირებულების ცვლილების მცირე რისკი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საღაროში არსებული ფულის რაოდენობა არამატერიალურია.

წინასწარგადახდები

წინასწარგადახდები ხორციელდება გადაფასებით დაკორექტირებული ღირებულებით. წინასწარგადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც წინასწარგადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება რეალიზებული იქნება წინასწარგადახდის მომენტიდან არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, ან აღნიშნული საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი აღიარებისას დაკლასიფიცირდა, როგორც გრძელვადიანი. აქტივის დაუფლებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები შევა აქტივის მიმდინარე ღირებულებაში იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აღნიშნულ აქტივზე და გარანტირებული იქნება მომავალში მისგან სარგებლის მიღება. სხვა წინასწარგადახდები ჩამოიწერება როდესაც მიიღება მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ ვერ მოხერხდება იმ აქტივის, საქონლის ან მომსახურების მიღება რომელიც წინასწარგადახდასთანაა დაკავშირებული, წინასწარგადახდილი თანხის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება მოკორესპონდენტო გაუფასურების ზარალი.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი დეკლარირება და აღიარება. ინფორმაცია დივიდენდებზე, რომელთა დეკლარირება ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროებამდე, წარმოდგენილია პერიოდის შემდგომი მოვლენების ამსახველ შენიშვნაში.

სესხები

სესხის ხარჯი, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენის, კონსტრუქციის ან წარმოების ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოსაყვანად, კაპიტალიზდება როგორც კონკრეტული აქტივის ხარჯის ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯი უნდა გაიხარჯოს იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა. სესხის ხარჯები ასევე მოიცავს საპროცენტო და სხვა ხარჯებს რომლებიც წარმოიშობა კომპანიის მიერ სახსრების მოძიების პროცესში.

თანამშრომელთა ხარჯები და სხვა სარგებლები

ხელფასების, ბონუსებისა და სხვა არაფულადი სარგებლების დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიღება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება სხვაობით სავარაუდო გასაყიდ ფასსა და დასრულების და გაყიდვის ხარჯებს შორის. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც ერთ კომპანიას წარმოუშვება ფინანსური აქტივი, მეორე კომპანიას კი ფინანსური ვალდებულება ან კაპიტალი.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის, სესხების და მოთხოვნების, ვადამდელი ინვესტიციების, გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების, ან ჰეჯირებისთვის განკუთვნილი დერივატივების მეშვეობით. თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას კომპანია განსაზღვრავს თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (იმ შემთხვევაში როდესაც აქტივები არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მას ემატება ტრანზაქციის ხარჯები რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან).

იმ ფინანსური აქტივების შესყიდვა ან გაყიდვა, რომლებიც ითვალისწინებენ აქტივების ადგილზე მიტანას განსაზღვრული დროის განმავლობაში, აღიარდება ტრანზაქციის განხორციელების დღეს, ე.ი. იმ თარიღით როდესაც კომპანია შეასრულებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ოპერაციას.

შემდგომი შეფასება

აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი შეფასებისას მათ კლასიფიკაციაზე:

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით

„გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით“ - მსგავსი კლასიფიცირება აქტივს მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ ისინი შეისყიდა შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს მომავალში. ეს აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და კორექტირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი შემოსავლით (პოზიტიური ცვლილებები სამართლიანი ღირებულებაში) ან ხარჯით (ნეგატიური ცვლილებები სამართლიანი ღირებულებაში). კომპანიას თავის მფლობელობაში არსებული აქტივებიდან არც ერთისთვის არ მიუნიჭებია აღნიშნული კლასიფიკაცია.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

ეს კატეგორია ყველაზე მეტად შეესაბამება კომპანიას. გაცემული სესხები და მოთხოვნები არის ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც ბაზარზე აქტიურად არ ივაჭრება. თავდაპირველი შეფასების შემდეგ, ასეთი აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად აღიარების შედეგად წარმოქმნილი ზარალი. ამორტიზებული ღირებულების

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გამოთვლისას გაითვალისწინება ნებისმიერი ფასდაკლება ან შეძენისას მიღებული ნამეტი სარგებელი და საფასური ან ხარჯები რომლებიც EIR მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ამორტიზაციის თანხა შესულია ფინანსურ შემოსავლებში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი აღირიცხება ასევე მოგება-ზარალის ანგარიშგების შესაბამის სექციაში: სესხის შემთხვევაში საპროცენტო ხარჯში, სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში კი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (აქტივის ნაწილის, ან აქტივთა ჯგუფის) აღიარება წყდება, როცა ამოიწურება ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გადაიცემა მესამე პირზე მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად. გადაცემის მომენტში კომპანია განსაზღვრავს, შეინარჩუნოს თუ არა (და რა ნაწილით) რისკები და უკუგება კონკრეტული ფინანსური აქტივიდან. როდესაც კომპანია არ ახორციელებს აქტივთან დაკავშირებული რისკების და უკუგების სრულად გადაცემას მესამე პირზე, მაშინ კომპანია აქტივს აღიარებს ამჟამად მის მფლობელობაში დარჩენილი ღირებულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში კომპანია ასევე აღიარებს ყველა დაკავშირებულ ვალდებულებას. გადაცემული აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება ხდება დარჩენილი უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად. გადაფასება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც გავლენას იქონიებს მომავალ ფულად ნაკადებზე და როცა მისი (გადაფასების) სიდიდის ობიექტურად შეფასებაცაა შესაძლებელი. გადაფასების საფუძველი შეიძლება იყოს: ნიშნები იმისა, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ

სიმწელებს, გაკოტრების ალბათობა, შეფერხებები პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდაში, ფინანსური რეორგანიზაცია და დაკვირვებადი ინფორმაცია, რომელიც აჩვენებს რომ მოსალოდნელია ფულადი ნაკადების შემცირება რომელთა გაზომვაც შესაძლებელია (მაგ. გადასახადების, ეკონომიკური სიტუაციის ცვლილება და ა.შ).

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღრიცხვა ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია პირველ რიგში ადგენს აქვს თუ არა ადგილი გადაფასებას იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აღრიცხულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით და არიან ინდივიდუალურად ან ჯამურად მნიშვნელოვანები, თუ კომპანია დაადგენს რომ ინდივიდუალურად თუ ჯამურად მნიშვნელოვანი აქტივებისთვის არ არსებობს გადაფასების ობიექტური მიზეზი, ის მოათავსებს აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივთა ჯგუფში და ერთდროულად შეამოწმებს მათ გადაფასებისთვის. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არიან შეფასებული გადაფასებისთვის და რომელთათვისაც გადაფასების ზარალი არსებობს, არ შედიან მსგავს საერთო საკრედიტო რისკების მქონე ჯგუფებში.

ჩამოფასების ოდენობა განისაზღვრება სხვაობით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების (იმ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით, რომლებსაც ჯერ არ ჰქონია ადგილი) დღევანდელ ღირებულებას შორის. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება სხვადასხვა ტიპის კორექტირებით და დანაკარგებით და ზარალის თანხის აღრიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიუხედავად ჩამოფასებისა, საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხორციელდება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მოხდა მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დადისკონტირება. ზემოაღნიშნული ხორციელდება იმ მიზნით, რომ განისაზღვროს ჩამოფასების ზარალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხებისა და მათი შესაბამისი რეზერვების ჩამოწერა ხორციელდება მაშინ, როდესაც აღარ არსებობს მათი მომავალში მიღების რეალური პერსპექტივა. თუ მომდევნო წელს მოსალოდნელი გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება (იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მოვლენას, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება შესაბამისი რეზერვის საშუალებით. უკვე ჩამოწერილი თანხის მოგვიანებით დაფარვის შემთხვევაში ის დაკრედიტდება ფინანსურ ხარჯებში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ვალდებულებები

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით (სესხებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული ტრანზაქციის ხარჯების წმინდა ღირებულებით) მოგება-ზარალის, სესხების და ვალდებულებების ან ჰეჯირებისთვის განკუთვნილი დერივატივების მეშვეობით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს და სესხებს (მათ შორის ბანკის სესხებს).

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით

„გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით“ - მსგავსი კლასიფიცირება აქტივს მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ ისინი შეისყიდა უახლოეს მომავალში შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით.

სასესხო ვალდებულებები

ეს კატეგორია ყველაზე მეტად შეესაბამება კომპანიას. თავდაპირველი შეფასების შემდეგ, ასეთი ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით. ვალდებულებების ჩამოწერისას სარგებელი ან დანაკარგი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება ნებისმიერი ფასდაკლება ან შეძენისას მიღებული ნამეტი სარგებელი და საფასური ან ხარჯები რომლებიც EIR მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ამორტიზაციის თანხა შესულია ფინანსურ შემოსავლებში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებული იქნება მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იმავე კრედიტორისგან ან არსებითად იცვლება არსებული ვალდებულების პირობები, ხდება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და აღიარდება როგორც ახალი

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ვალდებულება. შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოდგენის განზრახვა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშგებო თარიღში ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად. გაუფასურების შემთხვევაში გამოითვლება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და ედრება მიმდინარე ღირებულებას. თუ ანაზღაურებადი ღირებულება უფრო დაბალია, მიმდინარე ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით.

არაფინანსური აქტივის (ან აქტივთა ჯგუფის) გაუფასურების შემთხვევაში აქტივის მიმდინარე ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არა იმ ღირებულებაზე მეტად, რაც იქნებოდა განსაზღვრული იმ შემთხვევაში, გადაფასების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. უკუგატარებისას გაუფასურების ზარალი აღიარებული უნდა იყოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას, დაშვებების გაკეთებას და შეფასებებს რაც გავლენას ახდენს შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობაზე, ასევე თანდართულ შენიშვნებზე. აღნიშნულ დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროებს აქტივების ან ვალდებულებების მომავალი ღირებულების მატერიალურ კორექტირებას.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად განიცდის ცვლილებებს.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. ძირითადი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეების გარიგებები. ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში კომპანია აწარმოებს გარიგებებს მასთან დაკავშირებულ საწარმოებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება გარიგებების ფასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ ტრანზაქციაზე არ არსებობს აქტიური სავაჭრო ბაზარი. ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღების საფუძველია არადაკავშირებული საწარმოების მსგავსი გარიგებების ფასების ანალიზი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები

კომპანიის მხრიდან ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მოძველება ტექნოლოგიური ან კომერციული თვალსაზრისით, აქტივის გამოყენების მოსალოდნელი პოტენციალი (რომელიც დგინდება მისი მოსალოდნელი ფიზიკური მწარმოებლურობითა და ცვეთის დონით, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე). თუმცა, მენეჯმენტის დიდი მცდელობის მიუხედავად, სავარაუდო და რეალური პატერნები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 „იჯარა“ 2016 წლის იანვარში გამოიცა და ჩაანაცვლა ბასს 17 „იჯარა“, ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისის მოდელით, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევის მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (მაგ.: 12- თვიანი ან ნაკლებადიანი იჯარა). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

ძირითადი აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივი გამოყენების უფლებით).

მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან, გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა; სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება, ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული მაჩვენებლის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ხელახლა შეაფასონ საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე, ჩვეულებრივ, აღიარებს საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ სხვაობას არსებული საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს ყველა იჯარის კლასიფიკაციას ბასს 17-ის მიხედვით დადგენილი პრინციპის ანალოგიურად და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარეს აქვს არჩევანი და შეუძლია სტანდარტი გამოიყენოს სრულად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთი იყო:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორ- ტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2017	774	233	86	325	1,418
შეძენა	-	15	6	53	74
ჩამოწერა	-	-	-	(6)	(6)
31 დეკემბერი 2017	774	248	92	372	1486
შეძენა	59	50	7	49	165
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	833	298	99	421	1,651
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2017	(88)	(91)	(61)	(195)	(435)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(34)	(12)	(5)	(23)	(74)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	(122)	(103)	(66)	(218)	(509)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(36)	(18)	(6)	(40)	(100)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	(158)	(121)	(72)	(258)	(609)
წმინდა ღირებულება					
1 იანვარი 2017	686	142	25	131	984
31 დეკემბერი 2017	652	145	26	154	977
31 დეკემბერი 2018	675	177	27	163	1042

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
დაუმთავრებელი პროდუქცია	368	36	130
გასაყიდად მზა პროდუქცია	674	544	46
იაფფასიანი პროდუქცია	52	-	53
სხვა მარაგები	1	35	3
საწვავი	14	1	2
სულ	1,109	616	234

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

7. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	939	909	1,415
გადახდილი ავანსები	6	41	-
საბანკო გარანტია	13	-	-
სულ	958	950	1,415

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული საბანკო ანგარიშებზე	14	159	12
ფული სალაროში	65	-	1
სულ	79	159	13

9. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებულ სესხებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	იანვარი 01, 2017
სს საქართველოს ბანკი	ლარი	მარტი 1, 2017	14%	-	-	280
სს საქართველოს ბანკი	ლარი	იანვარი 25, 2017	14%	-	-	30
სს საქართველოს ბანკი	ლარი	იანვარი 31, 2018	15%	-	130	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	იანვარი 31, 2018	15%	-	130	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	ივნისი 1, 2019	14%	250	-	-
დარიცხული პროცენტი				3	5	3
სულ:				253	265	313

10. კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	458	365	427
გადასახდელი ხელფასები	178	169	178
გადასახდელი კომუნალურები	54	178	19
სხვა ვალდებულებები	-	-	15
სულ	690	712	639

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

11. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
კომპანიები	111	15	316
მუნიციპალიტეტები	530	77	247
სხვა მიღებული ავანსები	5	-	20
სულ	646	92	583

12. შემოსავალი

კომპანიის 2017 და 2018 წლების შემოსავლები მოიცავს:

	2018	2017
შემოსავალი სამშენებლო პროექტებიდან	6,575	4,587
სულ	6,575	4,587

13. თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის მიერ 2017 და 2018 წლებში რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება	1,656	1,532
ხელფასები	952	698
გადახდები ქვეკონტრაქტორებისთვის	2,473	833
მძიმე ტექნიკის მომსახურება	295	243
რკთ-ს მიკუთვნებული მივლინების ხარჯები	102	56
რკთ-ს მიკუთვნებული სხვა ხარჯები	40	46
საწვავი	88	86
ცვეთა და ამორტიზაცია	93	55
სულ	5,699	3,549

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის 2017 და 2018 წლების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
ცვეთის ხარჯი	6	21
მივლინებები	11	8
დაზღვევა	33	8
წარმომადგენლობითი ხარჯები	2	-
ოფისის და კომუნალური ხარჯები	15	4
სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები	3	23
სატრანსპორტო ხარჯები	8	4
სხვა ხარჯები	-	6
საგადასახადო ხარჯები	16	223
სულ	94	297

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

15. ფინანსური ხარჯი

	2018	2017
საბანკო გარანტია	67	67
საპროცენტო ხარჯი	22	74
ბანკის საკომისიო ხარჯი	17	38
სულ	106	179

16. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის კურსთა ცვლილებების მიზეზით. კომპანიისთვის რისკის ზემოქმედება უპირველესად დაკავშირებულია მის საოპერაციო (წინასწარგადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსურ აქტივობებთან (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მიღებული სესხები). კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტაში. ვალუტის კურსთაშორისი სხვაობის რისკის მატარებელია კომპანიის ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები და ასევე სესხები, რომლებიც დენომინირებულია ამერიკულ დოლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. თანხები წარედგინა უმაღლეს მენეჯმენტს და გადაყვანილია ეროვნულ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული კურსით:

31 დეკემბერი 2018	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	78	-	1	79
დებიტორული მოთხოვნები	887	-	71	958
გაცემული სესხები	3	-	-	3
სულ ფინანსური აქტივები	968	-	72	1,040
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	690	-	-	690
ნასესხები სახსრები	253	-	-	253
სულ ფინანსური დავალიანებები	943	-	-	943
ღია საბალანსო პოზიცია	25	-	72	97

31 დეკემბერი 2017	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	158	-	1	159
დებიტორული მოთხოვნები	951	-	-	951
გაცემული სესხები	3	-	-	3
სულ ფინანსური აქტივები	1,112	-	1	1113
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	712	-	-	712
ნასესხები სახსრები	265	-	-	265
სულ ფინანსური ვალდებულებები	712	-	-	712
ღია საბალანსო პოზიცია	400	-	1	401

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1 იანვარი 2017	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის	12	-	1	13
ექვივალენტები				
დებიტორული დავალიანება	1,344	-	71	1,415
გაცემული სესხები	38	-	-	38
სულ ფინანსური აქტივები	1,394	-	72	1,466
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	639	-	-	639
ნასესხები სახსრები	313	-	-	313
სულ ფინანსური ვალდებულებები	952	-	-	952
ღია საბალანსო პოზიცია	442	-	72	514

17. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ აღებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით.

18. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ეს არის რისკი იმისა რომ, კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც იწვევს ფინანსურ დანაკარგებს. იქიდან გამომდინარე რომ კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის სესხის გაცემა, კომპანია დგას საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი რისკის საფრთხის წინაშე.

საკრედიტო რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანია იყენებს საკრედიტო სახელმძღვანელოს, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის მიერ ყველა სესხის გაცემა. კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს რომელშიც აქტიურადაა ჩართული საკრედიტო კომიტეტი და ახორციელებენ მონიტორინგს გაცემულ სესხებზე.

კომპანია ასევე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი გადახდის უუნაროა.

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	958	951	1,415
ავანსები	264	243	529
მიღებული სესხები		-	-
გაცემული სესხები	3	3	38
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები (გარდა ფული სალაროშ)	14	159	12
სულ	1,239	1,356	1,994

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

19. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

კომპანიის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკამრისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის არადერივატიული ვალდებულების კონტრაქტით გათვალისწინებული სასარგებლო ნარჩენი ღირებულება, წინასწარშეთანხმებული გადახდის პერიოდებში. ცხრილი დაფუძნებულია ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების მოძრაობაზე აღებული უახლოესი თარიღით, როცა კომპანიას შესაძლოა დაეკისროს მათი გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობა როგორც პროცენტზე ასევე ძირის თანხაზე.

<i>31 დეკემბერი 2018</i>	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
დებიტორული მოთხოვნები	958	-	-	958
გაცემული სესხები	3	-	-	3
სულ ფინანსური აქტივები	961	-	-	961
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	639	-	-	639
ნასესხები სახსრები	-	253	-	253
სულ ფინანსური ვალდებულებები	639	253	-	892
<i>31 დეკემბერი 2017</i>	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
დებიტორული მოთხოვნები	951	-	-	951
გაცემული სესხები	3	-	-	3
სულ ფინანსური აქტივები	954	-	-	954
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	712	-	-	712
ნასესხები სახსრები	-	265	-	265
სულ ფინანსური ვალდებულებები	712	265	-	977
1 იანვარი, 2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
დებიტორული მოთხოვნები	1,415	-	-	1,415
გაცემული სესხები	38	-	-	38
სულ ფინანსური აქტივები	1,453	-	-	1,453
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	639	-	-	639
ნასესხები სახსრები	-	313	-	313
სულ ფინანსური ვალდებულებები	639	313	-	952

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

20. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს კაპიტალს, რომელიც შედგება კაპიტალის, დაგროვილი დანაკრებებისა და დავალიანებებისგან.

მენეჯმენტი აფასებს კაპიტალის მოთხოვნებს, იმისთვის რომ შეინარჩუნოს ეფექტიანი საერთო დაფინანსების სტრუქტურა გადაჭარბებული ლევერიჯის თავიდან აცილების პროცესში. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის დავალიანებების შესაბამისი სუბორდინირებული დონეების მინიჭებას. აგრეთვე დააკორექტიროს დიდი დენდის თანხის გაცემა, კაპიტალის დაბრუნება მესაკუთრეებზე და ახალი აქციების გამოშვება.

21. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ აქციონერები, მენეჯმენტი, სხვა კომპანიები რომლებიც იმყოფება ამ კომპანიის აქციონერთა საკუთრებაში. დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული შესყიდვები და გაყიდვები და მასთან დაკავშირებული ვადები ეფუძნება გაშლილი ხელი პრინციპს. კომპანიას არ აქვს აღრიცხული დაკავშირებულ მხარესთან არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება. აღნიშნული შეფასება ხდება ყოველ ფინანსურ წელს, დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და იმ ბაზრის განხილვით რომელშიც დაკავშირებული მხარე ფუნქციონირებს.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

	დაკავშირებული კომპანიები, მფლობელები	სულ	დაკავშირებული კომპანიები, მფლობელები	სულ	დაკავშირებული კომპანიები, მფლობელები	სულ
გაცემული სესხები	3	3	3	3	38	38
დებიტორული მოთხოვნები	-	958	-	951	-	(1,415)
კრედიტორული დავალიანება	15	(690)	(4)	(712)	12	639
		აქციონერების საკუთრებაში არსებული N1 კომპანია		აქციონერების საკუთრებაში არსებული N2 კომპანია		
		2018	2017	2018	2017	
ქვეკონტრაქტორი		-	738	-	-	
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შესყიდვები		-	-	-	-	
დაკავშირებულ მხარეებზე გაქირავება		-	-	-	-	
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი		-	-	-	-	
დაკავშირებული მხარეების ვალდებულებები		-	-	3	3	
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე		1	(102)	-	(1)	

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურება	2018	2017
ხელფასები და თანამშრომლებზე გაცემული სხვა მოკლევადიანი სარგებელი	168	168

22. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

კომპანია საქმიანობს საგადასახადო გაურკვევლობის პირობებში. საქართველოს საგადასახადო სისტემა არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომელიც ხშირად არ არის ნათელი და საკითხის განსხვავებულად ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლიათ დააკისრონ რაიმე სახის გადასახადი, ჯარიმა ან საურავი თუ ეს მოხდა საანგარიშგებო პერიოდიდან 3 წლის წინ. აღნიშნული გარემოებებს შედეგად გამოწვეული საგადასახადო რისკები უფრო მაღალი იქნება სხვა ქვეყნებთან შედარებით. ყველა შესაძლო გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულებები არის დარეზერვებული და შესაბამისად აღრიცხული კომპანიის მიერ.

კომპანიის მიმართ არსებობს გარკვეული საჩივრები და სამართლებრივი დავები, თუმცა არსებობს საკმარისი რწმუნება რომ აღნიშნული საჩივრებს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

23. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომელიც უშვებს, რომ კომპანია შემდგომ სასახო ვალდებულებებით გათვალისწინებული გადახდების დაკმაყოფილებას.

24. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანას ექვემდებარება.

შენიშვნები 6-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.